ქალაქი თბილისი 16 ივლისი 2015 წელი

მინდობილობა

შპს „კოლოსი XXI“-ს *(ს/ნ:206335474; რეგისტრაციის თარიღი: 13/10/08 წ; მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის საგადასახადო ინსპექცია; იურიდიული მის: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ/ნ, მოსკოვის გამზ. #35, კორ. #4, ბინა #1.)* დირექტორმა შოთა პაქსაშვილმა *(პირადი #01027068178)* შემდგომში მოხსენიებული, როგორც **მიმნდობი** დიმიტრი ვაჩნაძეს *(პ/ნ:01008009697)*, შემდგომში მოხსენიებულს როგორც **მინდობილი პირის,** კომპანიის სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „კოლოსი XXI“ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან ურთიერთობაში ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #60-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01/14/11/003/025) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

მინდობილი პირი უფლებამოსილია ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო განცხადებას, სხვა ოფიციალურ საბუთებს, მიიღოს მონაწილეობა პროექტის განხილვასა და დამტკიცებაში, შეასრულოს ყველა ქმედება, რაც აუცილებელია აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია თვითონ ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა #60-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01/14/11/003/025) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად ან/და ამ საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით გამართულ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომებში.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია მასში აღნიშნული დავალების სრულად შესრულებამდე.

შპს „კოლოსი XXI“-ს

დირექტორი

შოთა პაქსაშვილი